პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 სამშაბათი 8 თებერვალი № 32 (16769) ფასი 2 კაპ. 1977

ორბიტაზეა ხომალდი „სოიუზ-24“

საბჭოთა-ბულგარული ერთობლივი ცნობა

1977 წლის 7 თებერვალს 19 საათსა და 12 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-24“, რომელსაც პილოტობს ეკიპაჟი: ხომალდის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი პოლკოვნიკი ვიქტორ ვასილისძე გორბატკო და ბორტინჟინერი პოდპოლკოვნიკ-ინჟინერი იური ნიკოლოზის-ძე გლაზკოვი.

ხომალდ „სოიუზ-24“-ის გაშვების მიზანია გაგრძელდეს მეცნიერულ-ტექნიკური კვლევა და ექსპერიმენტები ორბიტული სამეცნიერო სადგურიდან „სალუტ-5“, რომლებიც 1976 წლის 7 ივლისს დაიწყო სატრანსპორტო ხომალდის „სოიუზ-21“-სა და სადგურ „სალუტ-5“-ის ერთობლივი ფრენის დროს.

ხომალდ „სოიუზ-24“-ის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. ეკიპაჟის წევრები თავს კარგად გრძნობენ.

კოსმონავტები ამხანაგები გორბატკო და გლაზკოვი შეუდგნენ ფრენის პროგრამის შესრულებას.

ბიოგრაფიული ცნობები

პოლკოვნიკი ვიქტორ ვასილის-ძე გორბატკო

კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-24-ის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ვიქტორ ვასილის-ძე გორბატკო 1934 წელს დაიბადა კრასნოდარის მხარის კაეკაზსკის რაიონის დაბა ვენცი-ზარიაში.

ბატალიონის მფრინავთა საბჭედრო საავიაციო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვ. ვ. გორბატკო საბჭოთა არმიის ავიანაწილებში მსახურობდა.

1960 წელს ვ. ვ. გორბატკო კოსმონავტთა რაზმის წევრი გახდა. 1968 წელს მან მუშაობას მოუწყვეტლივ დაამთავრა ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო საინჟინრო აკადემია,

1969 წლის ოქტომბერში ვიქტორ ვასილის-ძე გორბატკო მონაწილეობდა სამი კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-6“, „სოიუზ-7“, „სოიუზ-8“ ჯგუფურ ფრენაში, როგორც ხომალდ „სოიუზ-7“-ის მკვლევარი ინჟინერი, იყო ხომალდ „სოიუზ-23“-ის მეთაურის დუბლიორი.

ე. ვ. გორბატკო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1959 წლიდან. იგი დიდ საზოგადო მუშაობას ეწევა, არის საბჭოთა კავშირ-მონგოლეთის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის საპარაშუტო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარე.

პოდპოლკოვნიკ-ინჟინერი იური ნიკოლოზის-ძე გლაზკოვი

კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-24“-ის ბორტინჟინერი იური ნიკოლოზის-ძე გლაზკოვი 1939 წელს დაიბადა მოსკოვში.

1962 წელს მან ხარკოვის უმაღლესი საავიაციო საინჟინრო სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ ინჟინრად მუშაობდა საბჭოთა არმიის ავიანაწილებში.

ი. ნ. გლაზკოვი კოსმონავტთა რაზმში 1965 წელს ჩაირიცხა. კოსმოსური ფრენისათვის მზადების პროცესში იური ნიკოლოზის-ძე გლაზკოვი მფრინავის პროფესიას დაეუფლა, დაფრინავდა სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავებითა; არის სამხედრო-საჰაერო ძალების საპარაშუტო-სადესანტო მომზადების ინსტრუქტორი.

ი. ნ. გლაზკოვს არაერთგზის მიუღია მონაწილეობა პილოტირებული კოსმოსური ხომალდებისა და სადგურების ფრენის მართვაში, იყო ხომალდ „სოიუზ-23“-ის ბორტინჟინერის დუბლიორი.

ი. ნ. გლაზკოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1966 წლიდან.

1974 წელს იური ნიკოლოზის-ძე გლაზკოვმა საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

თავიდანვე დამკვრელური ტემპი

თათბირი იანვრის მუშაობის შედეგების თაობაზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის მრეწველობის, სამშენებლო ორგანიზაციებისა და სოფლის მეურნეობის მუშაობის 1977 წლის იანვრის შედეგებს, პროდუქციის წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

მოიხმინეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების ვ. ი. ვადაჭკორიასა და ი. ი. ქედიშვილის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის ო. გ. ვარძელაშვილისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის შ. დ. კიკნაძის მოხსენებები, აგრეთვე საქართველოს პროფსაბჭოს მდივნის ი. გ. ხაზარაძის ინფორმაცია — პროფკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანები „წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ და „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“ დადგენილებათა შესაბამისად.

კამათში გამოვიდნენ საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი ფ. ა. ანანიაშვილი, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ე. ნ. დუდჩენკო, რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრი ნ. ა. მეძმარიაშვილი, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გ. დ. ყიფიანი, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტის მმართველი კ. ვ. შაკაია, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი მ. კ. მაღრაძე, პარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი რ. გ. ურჯუმელაშვილი, პარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი დ. დ. მაღალაშვილი, პარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი გ. გ. ლეფაცა, მთავარმომარაგების უფროსი ა. ი. ბუაძე.

მომხსენებლებმა და კამათში გამოსულებმა საქმიანად გააანალიზეს მიღწეული შედეგები, აღნიშნეს, რომ საქართველოს მშრომელებმა, რომლებიც სკკპ ისტორიული XXV ყრილობის გადწყვეტილებებს, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადწყვეტილებებს ახორციელებენ, ახალი წლის პირველი თვიდანვე დამკვრელური ტემპი აიღეს.

რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის მუშაკთა მრავალთასიანმა არმიამ პარტიის გეგმები ღვიძლ საქმედ აღიქვა. მეათე ხუთწლედმა სიცოცხლე შთაბერა მრავალ ინიციატივას, ახალ პატრიოტულ წამოწყებას, რომლებსაც განსაკუთრებით ფართო გაქანება მიეცათ ახლა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის მზადების დღეებში.

ამახთანავე აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ უველა საწარმოში, სამშენებლო და სამონტაჟო ტრესტში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში არ გაშლილა გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოს საერთო-ეკონომიკური და ინდუსტრიული პოტენციალის დაჩქარებული ზრდისათვის, საერთო-საკავშირო დონედან მისი სამეურნეო განვითარების ჩამორჩენის დაძლევისათვის. არის საწარმოები, სამშენებლო ტრესტები, რომლებმაც ვერ შეასრულეს იანვრის გეგმა. ზოგიერთი შრომითი კოლექტივის ინიციატივასა და ენერგიას საკმაოდ არ წარმართავენ იმისათვის, რომ ფართოდ გამოიყენონ შინაგანი რეზერვები, აამაღლონ წარმოების ეფექტიანობა და გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი ახალი ტექნიკისა და შრომის პროგრესული მეთოდების დანერგვის საფუძველზე, არ იგრძნობა, რომ აწუხებდეთ შექმნილი ვითარება.

თათბირზე მკვეთრად გააკრიტიკეს „საქფრინველმრეწველი“, „საქთვეზმრეწვის“, გორის ბამბეულის კომბინატის, ხორცის კომბინატების მუშაობა.

შეტად დაბალია პროდუქტიულობის, წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის დონე, მაგალითად, მეფრინველეობაში, რაც ცუდი მეურნეობრიობის შედეგია.

აღინიშნა, რომ საჭიროა მკაცრად მოვკითხოთ იმათ, ვინც სისტემატურად ვერ ასრულებს სახელმწიფო დავალებებს, არ იბრძვის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის.

თათბირმა ხაზი გაუსვა, რომ კიდევ უფრო უნდა განვავითაროთ სახალხო მეურნეობის ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგი, როგორიც კაპიტალური მშენებლობაა. დიდი ყურადღება დაეთმო აგრეთვე საბინაო-სამოქალაქო მშენებლობას. რესპუბლიკის მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებს უნდა ახსოვდეთ, რომ მშენებლობის სრულყოფის პრობლემა ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა ახლანდელ ხუთწლედში, და მაქსიმალური მომთხოვნელობა და პრინციპულობა უნდა გამოიჩინონ სამშენებლო პროცესის ორგანიზაციაში, უნარიანად შეთანხმონ მშენებლობის მონაწილე ყველა ორგანიზაციის ღონისძიებანი, მიაღწიონ ყველა ობიექტის რიტმულ ამოქმედებას. მომთხოვნელობის შესუხტებით აიხსნება სწორედ, რომ ცალკეულ ობიექტებზე არის ფარტებანი და სახელმწიფო დისციპლინის სხვა დარღვევები.

თათბირზე დიდი ყურადღება დაეთმო სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს. აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობის საქმის მდგომარეობა, საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადება განსაზღვრავენ შემდგომ სამუშაოებს დარგში, და მაშასადამე საბოლოო შედეგებსაც. ჯერ კიდევ არ დამყარებულა ხათანადო წესრიგი სახნავ-სათესის აღრიცხვის საკითხებში. რესპუბლიკაში არცთუ ცოტაა მეურნეობები, რომელთა ხელმძღვანელები ურიგდებიან პირუტყვის დაბალ პროდუქტიულობასა და წონამატებას, სარეალიზაციო პირუტყვის მცირე ჩასაბარებელ წონას. უნდა დაჩქარდეს გადაწყვეტილების მიღება სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების პროცესის გაუმჯობესების შესახებ, უფრო რეგულარებული გახდეს იგი.

მოხსენებებსა და გამოსვლებში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. ხარისხის სახელმწიფო ნიშნიანი და უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წონა რესპუბლიკაში მეტად დაბალია. საჭიროა გავზარდოთ ასეთი ნაწარმის ხვედრითი წონა და ამავე დროს შევამცირეთ მეორე კატეგორიის პროდუქციის გამოშვება.

თათბირზე დაწვრილებით ილაპარაკეს ხაშმურულებლო დისციპლინაზე. ეს განსაკუთრებით ეხებათ ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებიც ხამაგალითონი უნდა იყვნენ ხელქვეითებისათვის.

კვლავაც უნდა გავაუმჯობესოთ საწარმოთა და მშენებლობათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, რომელსაც, ამ მხრივ გაწეული მუშაობის მიუხედავად, ისევ ახასიათებს ნაკლოვანებანი. თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სისტემატურად უნდა ვეძიოთ სახალხო მეურნეობის დარგებში საქმის ვითარებაზე ეფექტიანი ზემოქმედების ახალი ფორმები და მეთოდები, თავი მოვუყაროთ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანოების ძალებს არსებული შეცდომებისა და ხარვეზების დასაძლევად.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. მ. ხირაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ს. ე. ხაბეიშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. კ. შარტავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ზ. ბ. გელდიაშვილი და ე. მ. ჯაფარიძე.

(საქინფორმი).

ᲖᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲛᲝᲛᲬᲘᲤᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲒᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜᲝᲑᲘᲗ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ. ᲛᲐᲡ ᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲣᲠᲚᲕᲔᲕᲘ ᲘᲓᲔᲝᲠ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲐ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲒᲘᲚᲣᲠᲘ ᲘᲓᲔᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲑᲣᲚᲔᲑᲐ, ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲑᲣᲚᲔᲑᲐ. ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘ — ᲓᲦᲔᲡ ᲔᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲘᲡ ᲣᲛᲐᲚᲚᲔᲡᲘ ᲛᲘᲚᲬᲕᲔᲕᲐᲐ.

ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲔ-60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

მოწინავეთა მხარდამხარ

ᲞᲘᲐᲢᲝᲜᲘᲠᲐ. მაღაროთა სამმართველოების და ჯამამდიდრებელი ფაბრიკების რიტმული მუშაობის საჭი ხელთ უპყრია ელექტროლური ელექტრომექანიკური სახელოსნოს კოლექტივს. სწორედ აქ ჯდიან პროფელექტიკი და კაპიტალურ „მეორნალობას“ სამთო კომბინატის ყველა საწარმოში მოქმედი მექანიზმები.

— ჩვენს საწარმოში, — თქვა მისმა უფროსმა ვ. ხიხიანმ, — თუკიისა და ფოლადის სხვადასხვა კეთდება, ხელახალი საგზური ეძლევა მიწისქვეშა ელმავლებს, ბოლდოზერებს, ეკსკავატორებს, ტრაქტორებს. ეჩარხავთ და ეახარატებთ ახალ დეტალებს, ჯანგბადს ვაწვდით სამთო საწარმოებს...

საწარმოს კოლექტივმა კარგად დაიწყო დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელიწადი. თვის პირველ ნახევარში აქ დაამზადეს 5 ტონა ფოლადის და 2 ტონა თუჯის ზეგანმთის სხვადასხვა ნაწილები. ისეთი კარგი დაყალიბებული დეტალები გამოიტანდეთ, რომ მეკოპეთა სახელოვან კოლექტივსაც შეშურდება.

სამუშაო დროს ყოველ წუთს რაციონალურად იყენებენ ელექტროშემკეთებელი საამქროს მუშები. ამ დღეებში მათ კაპიტალურად შეკეთებული ელმავლის 6 ძრავი მიაწოდეს ლენინის და ახალი ათხვისის, ხოლო 4 ძრავი ლენინის და დიმიტროვის მაღაროებს.

თვის პირველ ნახევარში ნაწარმოს კოლექტივმა გეგმის გადამეტებით დაამზადა 5.000 მანეთის პროდუქცია. ეს სერიოზული განაცხადია იმისათვის, რომ წლიური ვალდებულება — აწარმოონ 50.000 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია — გადაჭარბებით შესრულდება.

ნოვატორმა ხარატმა პ. ბარაბაძემ, მრანდავმა ვ. ხიხაძემ, ზეინკლებმა ჯ. ქურციკიძემ, კ. იაკობაშვილმა, ნ. ლაბაძემ, ფოლადის ჩამომსხმელთა ბრიგადირმა პ. ბარბაქაძემ და სხვებმა იკისრეს საიუბილეო წელს ყოველთვიური დავალებები 120-125 პროცენტით გაანალღონ, დაზოგონ დამხმარე მასალები და ელექტროენერგია.

Ო. ნიჟარაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲕᲮᲕᲓᲔᲗ — ᲓᲘᲓ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ!

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲜᲘᲨᲕᲜᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ

ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲤᲔᲚᲝ გაერთიანება „საქელექტრომანქანის“ მეთაური საწარმოს — თბილისის მიკროძრავის ქარხნის კოლექტივმა ფართოდ გაშალა ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამ მიმართულებით უკვე კარგი შედეგებია მიღწეული. მთელი პროდუქციის 74 პროცენტი სახელმწიფო ხარისხისნიშნიანია.

ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შრომის პროგრესული მეთოდების გამოყენებამ, უახლესი მოწყობილობის დანერგვამ. მარტო შარშან ქარხანაში ამუშავდა: ლილვის ყელის ავტომატი, ელექტროშოტორების ახაწყობი ხაზი, ხტატორების გასაღებანთა ხაწნეხი ავტომატი და ბევრი სხვა.

მიკროძრავის ქარხნის პროდუქცია ეგზავნება ჩვენი ქვეყნის 100 ადრესატს, აგრეთვე გადის იტალიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მონგოლეთსა და სხვა სახელმწიფოებში.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: ხტატორების მოწინავე მეგრაგნელე კომუნისტი ზემფირა აფხაზიშვილი. ქალაშვილი მნიშვნელოვნად უსწრებს დროს და უკვე ამთავრებს 1978 წლის პირველი ნახევრის გეგმას.

ᲤᲝᲢᲝ: ᲛᲘᲠᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოკორესპ.).

შეჯიბრების კვალდაკვალ

ᲒᲔᲒᲔᲒᲛᲘᲗᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვეს ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა. იანვრის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 1 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებაში დაწინაურდნენ საავტომობილო, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნების, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების, მაუდის ფაბრიკის, სახლ-სამშენებლო და პურკომბინატების კოლექტივები.

ᲜᲝᲠᲛᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ჩვენმა ბრიგადამ მუშაობის რიტმული, დამაჯერებელი ტემპი აიღო. ცელაში 60 ტონის ნაცვლად გაიცემებით მეტს — 80-85 ტონა ქვანახშირს ეანგრევთ. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეული ჩვენგანი ნორმით გათვალისწინებული 12 ტონის ნაცვლად 14-15 ტონა ქვანახშირს იძლევა.

ე. სვანიძე,
ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გაჯაფხულს — გამართული ტექნიკა!

ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ

ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲐᲜᲘ. („კომუნისტის“ საკ. კორ.). გაზაფხულის სამუშაოების მეუფურნეზელად ჩატარებისათვის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ერთოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ნატახტრის, სოფურამის, მუხრანისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებში ტრაქტორები და სათესი მანქანები ძირითადად წესრიგშია და ხელსაყრელ ამინდში მიმდინარეობს ნიადაგის მომზადება.

რაიონის მექანიზატორებმა გადაწყვიტეს საგაზაფხულო სამუშაოებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი დაამთავრონ 10 თებერვლისათვის, ხოლო კომბაინებისა — პირველი მაისისათვის.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲩᲐᲚᲓᲐ

ᲜᲔᲩᲮᲝᲗᲐ. („კომუნისტის“ საკ. კორ.). გაზაფხულის სამუშაოების მეუფურნეზელად ჩატარებისათვის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ერთოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ნატახტრის, სოფურამის, მუხრანისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებში ტრაქტორები და სათესი მანქანები ძირითადად წესრიგშია და ხელსაყრელ ამინდში მიმდინარეობს ნიადაგის მომზადება.

რაიონის მექანიზატორებმა გადაწყვიტეს საგაზაფხულო სამუშაოებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი დაამთავრონ 10 თებერვლისათვის, ხოლო კომბაინებისა — პირველი მაისისათვის.

დიად თარიღს ეძღვნება

„რაც უფრო გვშორდება ეს დიადი თარიღი, მით უფრო ნათელი ხდება რუსეთის პროლეტარული რევოლუციის მნიშვნელობა...“ — წერდა ვ. ი. ლენინი. აღნიშნავენ რა დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავს, საბჭოთა ადამიანები, მთელი მსოფლიოს მშრომელები კვლავ და კვლავ ეწაფებიან ლენინის მემკვიდრეობას, ეცნობიან გმირული 1917 წლის მოვლენებს, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ისტორიას.

ამას მოგვითხრობს წიგნები, რომლებსაც საიუბილეო თარიღისათვის გამოუშვებს პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობა. ერთი მათგანია ვ. ი. ლენინის სიტყვების, მოხსენებების, სტატიების კრებული: „ოქტომბრის რევოლუციის წლისთავებისათვის“. წიგნში დაბეჭდილია ვლადიმერ ილიას-ძის ნაწარმოებები, რომლებიც ეძღვნება ოქტომბრის რევოლუციის ხუთ პირველ წლისთავს, აგრეთვე სიტყვები, სტატიები და გამოსვლები, რომლებიც ახასიათებს რევოლუციურ მონაპოგრებს, ბოლშევიკებსა პარტიის როლს ოქტომბრის გამარჯვებაში.

გამოსაცემად მზადდება კრებული „ლენინი ოქტომბრის შესახებ“. მასში შედის ბელადის ნაწარმოებების ის ნაწყვეტები, რომლებშიც გაშუქებულია ოქტომბრის რევოლუციის ხასიათი, მამოძრავებელი ძალები და მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. დოკუმენტების, ვ. ი. ლენინის სიტყვებისა და წერილების მეორე კრებულში — „სოციალისტური რევოლუციის შესახებ“, რომელიც დასაბეჭდად მომზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა, გაშუქებულია სოციალისტური რევოლუციის თეორიის შინაარსი, ძირითადი პრობლემები და მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. ორტომეულში „ლენინი. ჩვიდმეტი წლის ოქტომბერი...“ შეკრებილი და სისტემაშია მოყვანილი ყველა არსებული დოკუმენტი, მასალები, თანამედროვეთა მოგონებანი ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების მომზადებასა და მოწყობაში ბელადის როლის შესახებ. ამ დოკუმენტურ ნაამბობში ჩანს ვ. ი. ლენინის ყოველდღიური, ზოგჯერ კი ყოველი საათის ტიტანური მუშაობა, დაწყებული 1917 წ. 16 (ქველი სტილით 3) აპრილს რუსეთში ემიგრაციიდან დაბრუნებით და დამთავრებული საბჭოების II სრულიად რუსეთის ყრილობის ისტორიული სხდომით, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა და მიიღო ზაკისა და მიწის ლენინური დეკრეტები.

„1917 წელი. დიადი ოქტომბერი: მოკლე ისტორია, დოკუმენტები, ფოტოსურათები“. ასე ეწოდება კიდევ ერთ ახალ წიგნს, რომელიც მალეზიებში გამოჩნდა. მასში შეკრებილია დაახლოებით 300 ლენინური დოკუმენტი, პრესის მასალები, ფოტოსურათები, ყაღრები ქრონიკალური ფილმებიდან, რომლებიც გმირული 1917 წლის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, მთელ ქვეყანაში რევოლუციის გაგრცელებისა და გამარჯვების დიდებულ სურათს ალადგენს.

წიგნი აშუქებს კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ჩვენი სამშობლოს მუშათა კლასის ბრძოლას სოციალისტური რევოლუციისათვის, რომელიც დასაბამი მისცა ახალ ერას მთელი კაცობრიობისათვის.

დაბეჭდა აგრეთვე: ისტორიოგრაფიული ნარკვევი „პარტია და დიდი ოქტომბერი“, წიგნები „წითელგვარდიელთა იერიში კაპიტალის წინააღმდეგ“, „ოქტომბრის რევოლუციის სოციალური პოლიტიკა“, „ბოლშევიკები და გლეხობა ოქტომბრის რევოლუციაში“ და მთელი რიგი სხვა ნაწარმოებები.

სათუბილეო თარიღს ეძღვნება, როგორც დოკუმენტური, ისე სამეცნიერო-პოპულარული, პუბლიცისტური, ნარკვევის ტიპის, საცნობიარო, კალენდარული გამოცემები. (საკინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პლენუმი

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ. (საკ. კორ.). გაიმართა საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ნ. მ. გავაშელი.

საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველ მდივნად და რაიკომის ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ. მ. მ. ჭაჭია.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. ს. ე. ხაბეიშვილი.

• • •

პლენუმის შემდეგ ამხ. ე. ა. შევარდნაძემ სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადასცა რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეებს.

ეძღვნება დიად ოქტომბერს

სამეცნიერო სესია

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით პარტიის ცხაკაიას რაიკომმა და საბჭოთა კავშირის ფილოსოფიური საზოგადოების საქართველოს განყოფილებამ მოაწყეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი პარტიულ-სამეცნიერო აქტივის სამეცნიერო სესია თემაზე „სკკპ XXV ყრილობა სოციალისტური ცხოვრების წესის შესახებ".

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ესეანიამ.

სესიაზე წაიკითხეს მოხსენებები: „განვითარებული სოციალისტური საზოგადოება და სოციალისტური ცხოვრების წესის ჩამოყალიბება" (პროფ. ვ. ქობალია), „სოციალისტური ცხოვრების წესის პუმანური არსი" (პროფ. ვ. კუმელავა), „პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სოციალისტური ცხოვრების წესის განმტკიცებასა და განვითარებაში" (საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის მდივანი რ. ფაჩულია), „ძველისა და ახლის ურთიერთობა სოციალიზმის დროს" (პროფ. ვ. ქვაჩახია), „სოციალისტური ცხოვრების წესის თანამედროვე ბურჟუაზიული ფალსიფიკატორების კრიტიკისათვის" (პროფ. გ. ასათიანი), „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცი წლისთავის შესახებ" — უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და იდეურ-თეორიული დოკუმენტი" (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრაპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე გ. ბედინიერშვილი). (საქინფორმი).

მეგობართა გაღაკაზილი

ოცდაოთხი წელია, რაც უკრაინის სსრ ბელოზერსკის რაიონისა და საქართველოს სსრ ხელვაჩაურის რაიონის მშრომელებს მტკიცე მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა აქვთ დამყარებული. ეს ორი რაიონი ერთმანეთს ეჯიბრება.

ახლახან ხელვაჩაურის რაიონის მშრომელთა სახელით ბელოზერსკელ მეგობრებს გაეგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ზეიმებზე ამ წერილით მოგმართავთ თქვენ, როგორც ჩვენს ძმებსა და ამხანაგებს.

მეათე ხუთწლედის პირველ წელიწადს ხელვაჩაურის რაიონის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს: ხახელმწიფოს მივუყიდეთ 15.314 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, ე. ი. წინა წელთან შედარებით 850 ტონით მეტი, 28 ათასი ტონა ციტრუსი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

გაცნობებთ ჩვენს სოციალისტურ ვალდებულებებს 1977 წლისათვის:

ვაწარმოებთ და ხახელმწიფოს მივუყიდით 15.500 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, 35 ათას ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფს, დიდძალ ხილს, ყურძენს, რძეს, ხორცს, ტუნგის ნაყოფს და სხვა პროდუქტებს.

ხელვაჩაურელ და ბელოზერსკელ მშრომელთა თანამეგობრობა სულ უფრო და უფრო მტკიცდება, ფართოვდება.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

□

შრომა დაუფასდათ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 27 დეკემბრის ბრძანებულებით გურჯაანის რაიონიდან საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით სოფლის მეურნეობის 127 მოწინავე შუმაკი დაჯილდოდა.

5 თებერვალს გაიმართა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონული შეკრება, რომელიც მიეძღვნა ორდენებისა და მედლების გადაცემას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა ლენინის ორდენი გადასცა სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვ. უტიაშვილს და სოფელ აოაშეადი კოლმეურნეობის ბრიგადირს შ. ჩომახაშვილს, ოქტომბრის რევოლუციის ორდენი გადასცა სოფელ ძუკუნის ბეეხეხეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავს გ. ზურაბაშვილს, შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცათ სოფელ ჩალაუბნის კოლმეურნეობის მწველავს ა. ბარნაბიშვილს, სოფელ ჩუმლაყის მთავარ აგრონომს რ. ბერიაშვილს, სოფელ ბაშიანის კოლმეურნეობის მწველავს ბ. ვარდოსანიძეს და სხვებს, სულ 20 კაცს. „საპატიო ხიშნის" ორდენი გადაეცა 23 კაცს. შრომის დიდების მესამე ხარისხის ორდენი — 33 კაცს, მედალი „შრომითი მამაცობისათვის" — 25 კაცს, ხოლო მედალი „შრომითი წარჩინებისათვის" — 23 კაცს.

დაჯილდოებულთ საპატიო ჯილდოები მიუღია პ. გილაშვილმა. დაჯილდოებულთა სახელით სტატუები წარმოთქვეს ვ. უტიაშვილმა, შ. ჩომახაშვილმა, ო. ჯობაძემ, რ. ქოჩორაშვილმა და სხვებმა.

ა. თვალიაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

განყოფილების თვალთახედვის ამოქმედ

პარტიული ცხოვრება

ერთიანული ბიბლიოთეკა

ბოლო ორი თვის განმავლობაში ბევრ ადგილას, ბევრ ორგანიზაციაში, ბევრ ადამიანთა ერთ-ერთ ინტერესებ-ფიქრებ-ოცნებებ-ზრახვებ-ამოცანებ-ინიციატივებ-ინიციაციებ-ინიციატორებ-ინიციატიებ-ინიციაციებ-ინიციატორებ-ინიციატიებ-ინიციაციებ-ინიციატორებ-ინიციატი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ლევან სანიკიძე

□ □ □

მიზეზს არ ეძებდნენ, რადგან იმთავითვე გამოიგონეს „ერთი „მეშველი“ აზრი: რა ვქმათ, რაიონში ზარმაცი ხალხი გვყავს და ვერაფერი გავაწყვეთო.

ხალხი არ შეიძლება ზარმაცი იყოს, როგორც არ შეიძლება იყოს ზარმაცი მისი გამჩენი დედა-ბუნება.

მიზეზი სხვა იყო. წისქვილის ქვა იმიტომ არ ბრუნავდა, რომ ღარში წყალი არ მოდიოდა. ისინი ხალხის სიზარმაცეს, თავმჯდომარეების მოუქნელ მუშაობას, ხან კიდევ მიწების უვარგისობას მიაწერდნენ ყველაფერს, რაც კი აბაშის რაიონს ხელ-ფეხს უბორკავდა.

თუ კაცი კარგად ჩაუკვირდება მათი კრიტიკის ყაიდას და ნაქცეურობას, ერთი რამე მაშინვე მიიპყრობს ყურადღებას: ისინი ისე ლაპარაკობენ, თითქოს მხოლოდ და მხოლოდ მსაჯულები იყვნენ, სხვათა საქმეთა გამკითხველნი და არა ამავე საქმეთა თანამონაწილენი და თანამზრახველნი, ბრალეული და შემცოდე ყველაფერში, სადაც კი თესლმა ვერ გაიხარა, ძროხას რძე გაუშრა, ან კიდევ ბალახი მოუთიბავი დარჩა. თითქოს მათი მოვალეობა იყო მხოლოდ განაჩენის გამოტანა და არასდროს არაფერზე პასუხისმგებლობა.

პარტიულ ხელმძღვანელს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ იგი უპირველეს ყოვლისა **საზოგადო მოღვაწეა**. იგი უნდა იყოს ხალხის მოძღვარი და არა შიშველი ადმინისტრატორი, დასჯისა და მუქარის გარდა სხვა არაფერი რომ არ მოაგონდება ადამიანის აღსაზრდელად, მისი სულის განსაწმენდელად.

აბაშის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა კი ეს დიდი ზნეობრივი რჯული პარტიული მუშაკისა არად მიიჩნიეს და ყველაფრის გარდამქმნელ ძალად მხოლოდ სასჯელი დაამკვიდრეს.

ერთხელ ასეთი გაუგონარი ამბავიც კი მოხდა: რაიონის საბჭოს დაპუტატობის კანდიდატად ვერცერთი კოლმეურნეობის თავჯდომარე ვერ შეარჩიეს, რადგან უკლებლივ ყველა თავმჯდომარეს პარტიული სასჯელი ჰქონდა დადებული!

მარტო სასჯელი კი წახდენილ საქმეს ვერ გამოასწორებს.

აბაშის რაიონის ჩამორჩენა და დაკნინება კიდევ ერთმა საოცარმა გარემოებამ დაჩქარა. რაიონის ხელმძღვანელთა შორის არ იყო თანხმობა, ურთიერთგაგება და პატივისცემა. რაიკომის პირველი და მეორე მდივანი წაკიდებულ ძმებს უფრო გავდნენ, — საუფლისწულო ძამულები რომ ვერ გაიყვეს, — ვიდრე ქვეყნის თავდადებულ ამაგდარებს. ცხრა წელიწადი ერთმანეთთან უბრად და უმძრახად იყვნენ, და ბოლოს ასე „მორიგდნენ“:

რკინიგზის გადაღმა შენი მმართველობა იყოს, რკინიგზის გადმოღმა ჩემი საუფროსო იქნებაო!

არ იფიქრო, პატივცემულო მკითხველო, რომ ჩვენი კალამი რაიმეს აჭარბებდეს, ან ხუმრობის გუნებაზე იყოს.

თვითეულ მათგანს ამალაც საკუთარი ჰყავდა და, როდესაც, ვთქვათ, პირველ მდივანს თბილისში გამოიძახებდნენ, — მეორე მდივანი შეყრიდა თავის ამალას და რაიონიდან გასულ „კოლეგას“ ღღინზე „დაამუშავებდა“. ცხადია, თავის მხრივ პირველი მდივანიც „ამ პატივისცემას“ უყურადღებოდ არ დატოვებდა: მეორე მდივანიც ხომ გადიოდა ხოლმე რაიონიდან...

ამალის წევრები კი დღე და ღამე წერდნენ უსახელო წერილებს, საჩივრებს, უგზავნიდნენ ზემდგომ ორგანოს მამხილებელ მასალებს. „ზემდგომებმაც“ კარგად იცოდნენ, რა ხდებოდა აბაშის რკინიგზის გაღმა-გამოღმა და რატომღაც იობის მოთმინებით უყურებდნენ ამ ყოვლად მოუთმენელ კადნიერებას. მხოლოდ ხანდახან თუ ჩამოკითხავდნენ აბაშას და ვითომ შეარიგებდნენ „წაკიდებულ უფლისწულებს“, მაგრამ სათავეში ამღვრეული წყალს გზაში რა შაბი და შამბნარი დასწმენდდა.

არაკოლეგიალობის სახადმა ბევრი უბანი მოიარა აბაშაში და ბოლოს ყველაზე დიდი სიწმინდისა და კანონიერების ტაძარშიც დაიბუდა.

და ისევ მოხდა გაუგონარი ამბავი: იმ დღეს აბაშაში სახალხო სასამართლო ერთი გამფლანგველი კაცის საქმეს არჩევდა, მაგრამ პროცესი მოულოდნელად ჩაშალა!

ჩაიშალა არა იმიტომ, რომ მოწმეები არ გამოცხადდნენ, ან იმიტომ, რომ რაიმე დამატებითი გამოძიება გახდა საჭირო, ან კიდევ ბრალდებულს გული შეუწუხდა, — არა, ჩემო მკითხველო, სასამართლო პროცესი ჩაიშალა იმიტომ, რომ სიმართლის „ქურუმებმა“, მოსამართლემ და პროკურორმა, „ბრალდებული ვერ გაიყვეს“ და ხალხის წინაშე ერთმანეთს ისეთი შეურაცხყოფა მიაყენეს, მისი დაწერა ქაღალდსაც კი გაუჭირდებდა.

ამიტომ აღარც არის გასაკვირი, რომ აბაშის რაიონის ზოგიერთ სოფელს ხშირად გაზაფხულზე სათესლე სიმინდიც სანატრელი ჰქონდა, ეთერზეთების წარმოების წლიური გეგმა კი 4 პროცენტამდე დავიდა...

მინდორი უთვალო და ტყე უყურო არავის უნახავს, — ხალხი ყველაფერს ხედავდა, ყველაფერი ესმოდა და თანდათან კარგავდა ნდობას, რომ აბაშას რაიმე ეშველებოდა. ბოლოს კაცი რაიონის საზღვარს რომ გასცდებოდა, მერე აღარ ამხელდა, აბაშელი ვარო. მისი მხარ-კუთხე ყველაზე ჩამორჩენილი და სახელგატეხილი იყო საქართველოში.

რამდენიმე გამჭვარტლული დუქანი, ხის ძველი სახლები და ვიწრო, ტალახიანი ქუჩები — ასეთი იყო ძველი დაბა აბაშა და დიდხანს, ძალიან დიდხანს თითქმის არაფერი შეცვლილა რაიონის გულის მისახედ-მოსახედზედ. ახლა მხოლოდ უფრო გამხდარი ღორები დადიოდნენ მთავარ ქუჩაზე. ოცი წელიწადი ისე გავიდა, დაბაში ერთი საცხოვრებელი სახლი არ აშენებულა. არც კულტურის სახლი, არც სასოფლო კლუბი, არც ახალი სკოლა. არამცთუ აშენეს — აშენებულიც კი დაჩარგეს. აბაშის ცნობილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი რატომღაც გააუქმეს და მეზობელ რაიონს გადაულოცეს. ასევე დაჩარგეს უკვე დაგეგმილი საკონსერვო ქარხანაც. ყველაფერი ადვილად დასთმეს, რომ „ზედმეტი“ საღონარი და თავსამტვრევი საქმე არ ჰქონოდათ.

მეურნეობის მართვა-გამგეობის ჭესელი ისე იყო მოშლილი, რომ ჩარღვეულ წინდას ვეღარაფერი აჩერებდა.

მაგრამ, — როგორც ძველად ხდებოდა ხოლმე დიდი გაჭირვების ჟამს — ახლაც გამოჩნდნენ უანგარო შემართების, ფხიზელი თვალისა და გონების ადამიანები. ისინი წინ აღუდგნენ ამ განუკითხაობას, არ შეუშინდნენ არავითარ ცილისწამებას, არავითარ მუქარას, რათა ქვეყნის გამრუდებული გზა ისევ გამართულიყო და კაცი გამოთხოვებოდა უიმედობას, ურწმენობის მტანჯველ გრძნობას, მშრომელი კაცის გულში ერთხელ და სამუდამოდ გამქრალიყო ყოვლად შემზარავი განცდა — უნდობლობა ხვალინდელი დღისადმი. ამ საშვილიშვილო საქმეს, ამ ახალ ვითარებას ახალი ანაგობისა და ყალიბის პარტიული ხელმძღვანელი სჭირდებოდა, — ისეთი ადამიანი, გზას რომ გაიგნებდა ახალი ამოცანების სიღრმეში და არ გაუნაპირდებოდა დროის მიერ ნაკარნახევ არცერთ საზრუნავს, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიური, ისე სულიერ-ზნეობრივი ცხოვრების ასპარეზზე.

სწორედ ასეთი ანაგობის ადამიანთა წრეს მიეკუთვნებოდა აბაშის რაიონის ახალი ხელმძღვანელი გურამ მგელაძე.

VI.

ათენდა. ნამი უკვე შეაშრა ბალახს, დაორყუფრებული სიმინდი თოხს მოელის, მაგრამ ჯერ ყანაში კაცი არსად ჭაჯანებს. ყანის პირას მხოლოდ ერთი გურამ მგელაძე დადის და მოუთმენლად გაჰყურებს ჭალაში გაფანტულ გზა-ბილიკებს. არა, მხარზე გადებული თოხი ჯერ არსად ჩანს. ჯერ ისინი, გულაყრილი გლეხები, თავიანთ საკარმიდამო სიმინდსა და ბაღჩა-ბოსტანს დასტრიალებენ. და როდის-როდის, აგერ გლეხის სადილობა რომ მოაღწევს, მძიმე თოხს მჩატე თოხით შესცვლიან და კოლმეურნეობის ყანას მიაშურებენ.

ასეთი არასასიამოვნო სურათი იყო თითქმის ყველა სოფელში. ზოგან სულ არ გამოდიოდნენ სამუშაოდ, მხოლოდ სვალდებულო შრომადღეებს მფლისტუმრებდნენ და მერე... წინ წყალი და უკან მეწყერი!

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ძველი პარტიული მუშაკის, კოტე თოფურიას ნათქვამი:

— ჩვენი საქმე ისე იყო, ბატონო, რომ აბაშას ვერ უშველიდა ჩვეულებრივი ღონისძიება, — ვთქვათ, ერთი ცოტა სუსტი ხელმძღვანელის წასვლა და მეორე — ცოტა უკეთესი ხელმძღვანელის მოსვლა. ან კიდევ, როგორც ამბობენ — მუშაობის „ცოტა უფრო გაუმჯობესება“, „ცოტა მეტი წესრიგის“ დამყარება. არა, აქ საჭირო იყო ძირეული გარდატეხა, მთელი გადატრიალება —თუ ამ სიტყვისა არ შეგვეშინდება. საჭირო იყო ისეთი ხელმძღვანელი, საქმეს ძირში რომ ჩახედავდა, ყველაფერს თავის სახელს დაარქმევდა და აბაშის მეურნეობას ახალ კალაპოტში მოაქცევდა.

რა დიდი ჭეშმარიტებაა ამ სიტყვებში! რა სწორად არის მიკვლეული ის გზა, აბაშის ჩამკვდარ ცხოვრებას ფეხზე რომ დააყენებდა!

ყველაფერი თავიდან უნდა დაწყებულიყო, რადგან მეურნეობის ყველა დარგი მრუდე გზაზე იდგა და არაფრის გაგრძელება არ შეუძლებოდა. სათავე ყველგან ამღვრეული იყო.

ჩვენ აღარ გავაბამთ სიტყვას, თუ როგორ დაიწყო და დამთავრდა რაიონის გაცნობა-შესწავლის ძნელი და რთული პროცესი. ვიტყვით მხოლოდ, რომ ახალ ხელმძღვანელობას არცერთი დიდი თუ პატარა საკითხი კოლმეურნე გლეხნის დაუკითხავად არ გადაუწყვეტია.

რაიკომის ახალი ბიუროს წევრები—იაკობ თოდუა, აკაკი ქობალავა, იური ჭანტურია და სხვები იმთავითვე მხარში ამოუდგნენ თავიანთ პარტიულ ხელმძღვანელს და ყველამ ერთად დაუღალავ ძიებას მისცა თავი. რა გზას უნდა დაადგნენ, რა საშუალება გამონახონ, რომ აბაშის რაიონი წელში გაიმართოს, ნივთიერად მოღონიერდეს, სულიერად განმტკიცდეს, რათა მშრომელ კაცს გული საგულეში დაუდგეს და გარე-გარე სიარულს თავი მიანებოს.

უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ხალხთან დაახლოება, იმ ჩატეხილი ხიდის აღდგენა, ურომლისოდ გაღმა-გამოღმა დარჩენილი პარტიული ხელმძღვანელობა და კოლმეურნე გლეხობა საერთო ჭაპანს ვეღარ გასწევდნენ. ამიტომ წესად შემოიღეს, — ჯერ ბიუროს წევრები განიხილავდნენ ამა თუ იმ საკითხსა და წინადადებას, ერთობლივ დასახავდნენ რაიმე ღონისძიებას და მერე მთელი ბიუროო წარდგებოდა სოფლის წინაშე: — რაიკომის ბიურო ასე ფიქრობს და თქვენ რას გვირჩევთო. გლეხკაცს მოსწონდა ეს წრფელი და უშუალო ურთიერთობა და მთელი სულითა და გულით მონაწილეობდა საქვეყნო-საყოველთაო სჯა-ბაასში. სახელმწიფო და საზოგადო საკითხების განხილვაში. ამ კრებათათბირებს დიდი და პატარა აწყდებოდა. ვერ ნახავდით ადამიანს, რომ გულმხურვალედ არ ჩარეულიყო სახალხო-საქვეყნო მოლაპარაკებაში.

ასე ერთბაშად ჩაიყოლია გურამ მგელაძემ აბაშის გლეხობა თავის ფერხულსა და ორომტრიალში.

ამ საჯარო შეხვედრებმა გლეხობასთან, გამოცდილ სამეურნეო მუშაკებთან და მეცნიერებთან საბოლოოდ დაარწმუნეს ახალი ხელმძღვანელობა, რომ სანამ შრომის ანაზღაურების საკითხი სწორად და სამართლიანად არ მოგვარდებოდა, სხვა რამეზე ფიქრითაც კი ვერაფერს იფიქრებდი. ეს იყო თავიდათავი საარსებო საზრუნავი. ყველა უბედურების მიზეზიც სწორედ ის გახლდათ, რომ შრომის ანაზღაურება აშკარად არ შეეწონებოდა გაწეულ შრომას, — იმდენად არ შეეწონებოდა, რომ მეტი მოთმენა ნამდვილად დანაშაული იქნებოდა. სწორედ ამ წონასწორობის დარღვევის გამო იყო, რომ ჩაკვდა ყოველგვარი ძიება და თაოსნობა, და მიწის მუშა მიწას გაექცა.

სახალხო ბჭობამ ჭეშმარიტად კარგი ნაყოფი გამოიღო. საბოლოოდ დადგინდა ნივთიერი წახალისების ისეთი წესი, რაც ხალხისა და სახელმწიფოს წადილ-მისწრაფების მთლიანობას ყველაზე უკეთესად გამოხატავდა:

აი ეს წესი:

სიმინდის გეგმის შესრულებისათვის, საყოველთაოდ დაწესებული ხელფასის გარდა, კოლმეურნე გლეხს პრემიაც მიეცემა მოსავლის 10 პროცენტი, ხოლო გეგმაზე ნაჭარბი მოსავლიდან 70 პროცენტი; ესე იგი — ათი ტაროდან შვიდი ტარო მიაქვს გლეხს, სამი — კოლმეურნეობას.

ასევე დადგინდა შრომის დამატებითი ანაზღაურება მებოსტნეობისა და ეთერზეთოვანი მეურნეობის დარგებში: გეგმის შესრულებისათვის მოსავლის 20 პროცენტი, ხოლო გეგმაზე ნაჭარბი მოსავლიდან — 50 პროცენტი (იგულისხმება ფულადი ანაზღაურება).

ეს იყო უაღრესად გაბედული ნაბიჯი, — გაბედული იმიტომ, რომ იმ პირველ წელიწადს სიმინდის გეგმა საშუალოდ ჰექტარზე თვრამეტი ცენტნერი დაუწესეს კოლმეურნეობებს, მაშინ როდესაც წინარე წლებში საშუალო მოსავალი ჰექტარზე თორმეტ ცენტნერს არ ასცილებია. საგონებელი ის იყო, ამ პირობებში ენდობოდა თუ არა გლეხი ამ ახალ ღონისძიებას? იბრძოლებდა, რომ გეგმა შეესრულებინა? ან იმდენს რას მოიწევდა, გეგმის ნაჭარბს მისი ნალია გაეკსო?

ეს ფიქრი აწუხებდა გურამ მგელაძეს და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ პირველსავე წელიწადს არსად შეფერხება არ ჰქონოდა. მარტო ნივთიერი წახალისების ახალი წესი ვერას გახდებოდა, თუ დროისად არ მოათავებდა სათესლე სიმინდის დაყალიბებას, მაქანა-ტრაქტორების გაწყობა-შეკეთებას, სასუქის მომარაგებას, ჩაქცეული წყალსაწრეტი არხების გასუფთავებას, წალეკილი ჯებირების გამაგრებას და სხვა მრავალ საღონარ საქმეს.

მაგრამ პირველი მოსავლის ბედი მაინც ადამიანს უნდა გადაეწყვიტა. გურამ მგელაძეს ადგილობრივ უნდა ეპოვნა ისეთი თავკაცები, ძალ-ღონეს რომ არ დაიშურებდნენ მისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. ეს მით უფრო საჭირო იყო თუნდაც იმიტომ, რომ უკვე თავი წამოჰყო არა ერთმა და ორმა ურწმუნო თომამ, გლეხობაში ჭორებს რომ ავრცელებდნენ, — როგორც დღემდე გვატყუებდნენ და არაფერს გვაძლევდნენ, ახლაც ტყუილად გვამუშავებენ და ბოლოს მშრალზე დაგვაგდებენეო. ძნელი იყო ამ ურწმუნო ავყიეების გაჩუმება, მე შენ გეტყვი და, სიტყვას ჩაუჭრიდი, — მაშინვე ოცწლიან საბუთებს დასტა-დასტად თვალწინ გადმოვილაგებდნენ, ლაფში ჩამარხულ ტაროებს გაგახსენებდნენ.

არ გასულა დიდი ხანი, — ამ გავლენიან ჭორიკანებს წამოეშველნენ უსახელო წერილების მოტრფიალენი. ჩვენ წაგვიკითხავს ეს წერილები. მხოლოდ ცილისწამება, მხოლოდ ბოღმა და ღვარძლი უნაგირიდან გადმოვარდნილი ნაკაცარისა, ან კიდევ ბაქი და მუქარა აზნაურობის მაძიებლისა, — უაზნო და უნიჭო ადამის ძისა. არცერთი მართალი სიტყვა, არცერთი მართალი საბუთი და მინიშნება. მაგრამ არ იფიქრო, მკითხველო, რომ ეს ჭორები და ლაგამწაყრილი, არაწმინდა სტრიქონები მხოლოდ წყალს ამღვრევდნენ და იმ წყალშივე უკვალოდ ინთქმებოდნენ. არა, ისინი გულს უტეხდნენ, ძალღონეს უნახევრებდნენ ისედაც დაეჭვებულ ადამიანებს, ათახსირებდნენ ყოველგვარ ახალ წამოწყებას...

— ცხრათავიანი დევი ხელდახელ რომ დამტაკებოდა, ისე კი ვერ გამიჭირებდა საქმეს, როგორც ერთმა ნასაფრებულმა ქალაჩუნამ მომშალა და კინაღამ წონასწორობა დამაკარგვინა, — გამოგვიტყდა ერთხელ გურამ მგელაძე.

რაიკომის ბიუროს წევრებმა იცოდნენ ამ არაკაცების გვარ-სახელები, მაგრამ ჯერთავად ჩუმად იყვნენ, ხმას არ იღებდნენ, რომ რაიონში მეტი აურზაური და მითქმა-მოთქმა არ შექმნილიყო.

ჭორმა ისეთი ფესვისყრა იცის, რომ ერთი ცხენის გაჭენება მანძილზე აგრაფინას ქანგიან უთოს იაზონის ხომალდად გადააქცევს.

მაგალითად, ერთი უსახელო წერილის ავტორმა, იმჟამად საშუალო სკოლის დირექტორმა კაჭარავამ ხელაუკანკალებლად დაწერა, გურამ მგელაძემ თბილისიდან ორასი კოსტუმი ჩამოიტანაო (არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად ორასი კოსტუმი!). კაჭარავას ერთი „გულუბრყვილო“ ანგარიში ჰქონდა, — ხალხში ხმა დაეგდო: — ორასი კოსტუმის პატრონი კიტრისა და კომბოსტოს მოსაყვანად საიდან მოიცლისო!

პირველო შემოდგომავ, პირველო კალოობავ! მხოლოდ შენ აუკრავ პირს ჭორსა და მოწამლულ სიტყვას!..

და ისინიც, — მთელი რაიკომის ბიურო, მთელი რაიონის მოწინავე ადამიანები თავაუღებლად მუშაობდნენ და იღვწოდნენ, რომ პირველ კალოს ხალხის იმედი არ გაეცრუებინა. იმდენად დიდი იყო ხიბლი და გატაცება, რომ აბაშის რაიაღმასკომის ახალი თავმჯდომარე იური ჭანტურია, ავადმყოფობის მიუხედავად, ადგა და ანჯელის შორეულ ჭალებში გადასახლდა, რომ რაიონის ბელელს არც დღე, არც ღამე მზრუნველი ხელი არ მოჰკლებოდა. ასევე გამოკეტა კაბინეტი რაიკომის მეორე მდივანმა იაკობ კოდუამ,—მდივანმა აკაკი ქობალავამ.

კარებზე მხოლოდ წარწერა იცვლებოდა:

„წავედი ეთერზეთებში“,

„დაღამებამდე ვიქნები მთიბავებთან“,

„წავედი სახბორეში“...

არა, იმ პირველ წელიწადს მშვიდად და ტკბილად არ უცხოვრიათ ამ დიდებულ ადამიანებს!

და სამართლიანმა დედაბუნებამ გული არ დასწყვიტა აბაშელებს. იმ პირველ წელიწადს 14.234 ტონა სიმინდი მოიწია რაიონმა. თუ გავიხსენებთ, რომ წინარე სამი ათეული წლის მანძილზე აბაშის რაიონს არასოდეს არ აუღია შვიდი ათას ტონაზე მეტი სიმინდი, მაშინ ამ პირველ მოსავალს სხვა რაღა უნდა დაერქვას, თუ არა ხამდვილი საოცრება.

ეს უკვე დიდი გამარჯვება იყო, თუმცა ცხოვრებაში ხშირად ხდება ხოლმე: პატარა გამარჯვებასაც კი ზარების რეკვა, მილოცვები და გაუთავებელი ტამტატუში მოჰყვება ხოლმე.

ტამტატუში კი თვითკმაყოფილების საფუარია.

იგი აღვივებს და ათამამებს ისეთ გრძნობებს, რაც ადამიანს ძიებისა და წინსვლის გზას უკეტავს.

მგელაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი არ აჰყოლია ამ საცდურს და ბალიშზე თავი არ დაუდვია. იგი ყოველდღიურად სწავლობდა და აკვირდებოდა რაიონის სამეურნეო ცხოვრების ხელმძღვანელი რგოლების ეგებულებასა და მუშაობას, და მალე დარწმუნდა, რომ ერთიცა და მეორეც სამუდამოდ მოძველდა და მოსწყდა დღევანდელ ცხოვრებას, უკვე აფერხებდა სოფლის წინსვლას. სიახლის გრძნობამ აქაც არ უღალატა გურამ მგელაძეს. მან გაბედულად მოკიდა ხელი ისეთ საქმეს, აქამდე ბევრ ჩვენგანს შეუცვლელი და შეურყეველი რომ ეგონა.

ეს იყო ძველი სახელმძღვანელო რგოლების საფუძველზე სამეურნეო ცხოვრების მართვა-გამგეობის ახალი სისტემის შექმნა.

დღემდე რაიონის სოფლის მეურნეობა ეპასუხებოდა შვიდი **სხვადასხვა** დაწესებულება: სოფლის მეურნეობის სამმართველო, „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილება, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო, მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექცია, სათაო პარკსაშრობი, ცხოველთა დაავადებასთან მებრძოლი სადგური და სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის ინსპექცია.

ერთი რაიონის ამ დაწესებულებებს ხელმძღვანელობს რესპუბლიკის **სხვადასხვა** სამინისტრო, **სხვადასხვა** ტრესტი და სამმართველო.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე გაგზავნილ წერილში გურამ მგელაძე ამტკიცებდა, რომ სწორედ **ეს უწყებრივი დაქსაქსულობა** უშლიდა ხელს და ყოველნაირად აბრკოლებდა სოფლის მეურნეობის ცხოველუნარიან განვითარებას. სიხამდვილეში ჩვენი სოფლის ცხოვრება მოკლებული იყო მოქნილ და კარგად მორგებულ ერთიან ხელმძღვანელობას. ამ შვიდი დაწესებულებიდან მხოლოდ სოფლის მეურნეობის სამმართველო აგებდა პასუხს კოლმეურნეობების მუშაობის ავ-კარგისათვის (საბჭოთა მეურნეობები მისი მეთვალყურეობის **გარეშე** იყო). დანარჩენ ექვს დაწესებულებას კი მხოლოდ სახელად ერქვა ხელმძღვანელი ორგანო, სინამდვილეში კი, არცერთ მათგანს არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა, — რა მოსავალს მოიწევდა ესა თუ ის კოლმეურნეობა, ან რა ზარალ-მოგებას ნახავდა რომელიმე საბჭოთა მეურნეობა.

ამიტომ მგელაძე მოითხოვდა, — ამ უფლებააყრილი, დაუქმებული რგოლების საფუძველზე შექმნილიყო მართვა-გამგეობის ახალი ორგანიზაცია — „სოფლის მეურნეობის მართვის აბაშის რაიონული გაერთიანება“. ამ ახალი დაწესებულების ხელში თავს მოიყრიდა შვიდივე რგოლი, მანამდე ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად რომ არსებობდნენ და ორანი ხარებივით უღელს წაღმართად ვერ ეწეოდნენ.

ამ ერთიანი ხელმძღვანელობის რწმუნებაში მოექცეოდა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვადასხვა სამეურნეო საწარმოს მუშაობის დაგეგმვა, კადრების შერჩევა და კონტროლის უფლება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა გურამ მგელაძის გაბედულ ნაბიჯს.

ასე ჩამოყალიბდა აბაშის რაიონში სოფლის მეურნეობის ერთიანი მართვა-გამგეობა. ეს იყო ახალი, პირველი სასინჯი ღონისძიება საქართველოში.

ამ ახალმა გაერთიანებამ უფრო განამტკიცა და მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა აბაშის აღორძინებას.

თვითეულ ყანას თუ ფერმას, ბაღჩას თუ ბოსტანს, ფხიზელი თვალი და ყური დაეპატრონა. იმძლავრა მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობამ. და რაც მთავარია, მარჯვენამ ყოველთვის იცოდა, რას აკეთებდა მარცხენა.

ისევ არ ჩაკვდა ცოცხალი აზრი და სანთელსაკმეველმაც თავისი გზა არ დაკარგა.

VII.

ბურამ მგელაძეს, როგორც პარტიულ ხელმძღვანელს, კიდევ ერთი ფასდაუდებელი თვისება მოსდგამს.

ის გაპატიებს შეცდომას, გაპატიებს არცოდნას, წაუყრუებს უკუღმა ნათქვამ სიტყვას, გაპატიებს სხვა ადამიანურ სისუსტეს, მაგრამ არასდროს — **დაგვიანებას!** ვინაიდან არც გვალვა, არც წყალდიდობა, არც ცეცხლი და ქარწვიმა იმდენ უბედურებას ვერ მოუტანს ადამიანებს, რამდენიც მოაქვს თითქოს ყოველად უბრალო და უწყინარ ამბავს — სამუშაოზე დაგვიანებას.

ადამიანმა ჯერ კიდევ უხსოვარ დროში გამოიგონა მზის საათი, რომ ზუსტად სცოდნოდა ყოველი წუთის სათვალავი, რადგან სიზუსტე შრომის წესრიგის ყველაზე დიდი საწინდარია, ურომლისოდ არცერთი საქმე კეთილად არ დაბოლოვდება.

ნოქარმა წონაში ოცი გრამი რომ დაგაკლოს, მაშინვე სამართალში მისცემენ, მაგრამ კაცმა ოცი წუთი რომ წაგართვას, ტყუილუბრალოდ გალოდინოს და მოგაცდინოს, ეს არაფრად არ ითვლება, — ეს თითქმის არავის აწუხებს, მაშინ როდესაც ამ უმიზნოდ დაკარგულმა წუთებმა რამდენი ლამაზი სახლი და ქუჩა, რამდენი დიდებული წიგნი, რამდენი ყანა და ვენახი დააკლო მომავალ თაობას.

განა იმ წუპაკ ნოქარზე ნაკლებ დანაშაულს სჩადის რომელიმე დაწესებულების ხელმძღვანელი, დილის ცხრა საათზე რომ დაგიბარებს და კაბინეტის კარს მხოლოდ შუადღის თორმეტ საათზე გაგიღებს? ან კიდევ—ნაშუადღევს შეკვეთილი სასწრაფო სატელეფონო საუბარი ნაშუაღამევს თუ გაღირსებს, ღმერთს მადლობა უთხარი. ერთი პერანგის გამო ათჯერ მოგატარებენ სამკერვალოს. ვინ მოთვლის ერთმა დაგვიანებულმა ავტობუსმა რამდენი დრო მოჰპარა ადამიანებს... ან კიდევ— ორი კაცი უბრალო სადილის საჭმელად რესტორანში ვერ შესულა, — თუ ნახევარი დუჟინი ღვინო და მთელი ხონჩა ნაღუღ-მაღუღი არ მოითხოვე, კერძის მომტანი ზედაც არ შემოგხედავს და მთელ საათს ცარიელ მაგიდასთან გაყურყუტებს... მაგრამ ამ უხილავი სიმდიდრის ქურდებს სამართალში არავინ აძლევს...

საუბედუროდ, ჩვენი ქვეყნის სამართლის წიგნი ძალიან ლმობიერად ეკიდება ყველა ჯურის გამფლანგველებზე უფრო საშიშარ ბოროტმოქმედს, — **დროს** გამფლანგველს.

ამიტომ, დაიწყო თუ არა მუშაობა, მგელაძემ პირველი დღიდანვე დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ყოველგვარ დაგვიანებას,— ყანაში, ფერმაში თუ მისაღებ ოთახში, საქმიან თათბირსა თუ საზეიმო შეკრებაზე, ყველგან, სადაც კი ადამიანისა და მისი ნაამაგარის ბედი წყდებოდა.

რაიკომის ბიუროს წევრების შეწყობილი მუშაობა, — უპირველეს ყოვლისა კი — ხალხთან დაახლოება და ხშირი გულახდილი საუბარი აბაშის ავ-კარგზე, სიტყვისა და საქმის ერთობა,—არც ის მომაბეზრებელი წყალ-წყალა შეგონებანი და არც ასევე წყალწყალა აღთქმა-დაპირებანი, რითაც დღესაც ხშირად სცოდავს ზოგიერთი ხელმძღვანელი... ასეთმა სიმტკიცემ თანდათან შექმნა შეურიგებლობის განწყობილება ყველა იმ დიდი და პატარა თანამდებობის ადამიანისადმი, ვისაც სხვათა დრო, სხვათა წუთი და საათი გახვრეტილ გროშად არ ეღირდა.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 30, 31.

მსოფლიოს აქეთ-აქეთ

ფაქტები • პროგლემები

გარღაქმნათა კურსით

□

პრეზიდენტ ა. ნეტოს განცხადება

ლუანდა, (საკდესი). მთავარი ამოცანა, რომელიც ანგოლის წინაშე დგას, სოციალისტური საზოგადოების აშენებაა, განაცხადა ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა.ნეტომ. იგი ნდოლატანდუში (ჩრდილოეთ კუანზის პროვინცია) გამოვიდა კოლონიზატორთა წინააღმდეგ ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის შეიარაღებული ბრძოლის დაწყების მე-16 წლისთავის გამო.

პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხალხის ფართო მასების საკითხიდან ეროვნულ-ეკონომიკური გარდაქმნების წარმართვაში შექმნა იმან, რომ სახელმწიფო კონტროლს დაექვემდებარა წარმოების სეზონალური, რომელიც წინათ კოლონიზატორთა ხელში იყო.

ა. ნეტომ აღნიშნა დიდი ყოველმხრივი დახმარება, რომელსაც სოციალისტური ქვეყნები უწევენ ანგოლის სახალხო რესპუბლიკას.

რევოლუციის დასაცავად

ადის-აბება. (საკდესი). შვიუნარჩუნოთ მონაპოვარი ეთიოპიის რევოლუციას, რომელმაც ბოლო მოუღო ფეოდალურ-მონარქიულ რეჟიმს და ახალი საზოგადოების აშენების გზა გაკვალა, — ასეთი მოწოდებით მიმართა ქვეყნის მშრომელებს ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ატნაფუ აბატემ. იგი გამოვიდა ილუ-ბაბორის პროვინციის ქალაქ მეტუში დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს მხარდასაჭერად გამართულ მასობრივ მიტინგზე.

ანტაფუ აბატემ აღნიშნა, რომ რეაქცია, რომელმაც ამ დღეებში სეპარიოზული დამარცხება იწვნია დროებით სამხედრო ადმინისტრაციულ საბჭოში კონტრრევოლუციური დაჯგუფების ლიკვიდაციის გამო, მთელ ქვეყანაში ააქტიურებს თავის საქმიანობას. სახალხო ხელმძღვანელების წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტები: ცეცხლის წაკიდება, მარცვლეულის მოსპობა განსაკუთრებით ხშირად ხდება ერიტრეის, ტიგრის, ბეგემდერისა და სიმენის პროვინციებში.

მაგრამ რეაქციის დღეები დათვლილია, რამდენადაც ახლა რევოლუციის დასაცავად გამოდიან ძმროძელი ხალხის სულ უფრო ფართო ფენები. დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს გადაწყვეტილებით, განაცხადა ატნაფუ აბატემ, მათ გადაეცემათ თანამედროვე იარაღი, გაფართოვდება მოძრაობა სახალხო მილიციის რაზმების შესაქმნელად.

გაზეთი „ეთიოპიას ჰერალდი", აქვეყნებს რა დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს განცხადებას, გამოყოფს ამ განცხადებიდან ის ადგილი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „გადავიდა რა თავდაცვიდან შეტევაზე, სახალხო რევოლუციამ გადამწყვეტი ღონისძიებანი იხმარა „მეხუთე კოლონის" წინააღმდეგ, რომელიც აქტიურად ცდილობდა უთანხმოება ჩამოეგდო სამხედრო მოსამსახურეთა რიგებში და განხეთქილება მოეხდინა მათსა და ხალხის ფართო მასებს შორის. შეთქმულნი აგრეთვე მიზნად ისახავდნენ ძირი გამოეთხართან საშშობლოს ერთიანობისათვის, მოესპოთ რევოლუციის მონაპოვარნი და ნამდვილი რევოლუციონერები, მოეხდინათ ჩილესნაირი გადატრიალება საუდის არაბეთისა და იმპერიალისტების დახმარებით და საზღვარგარეთ გაქცეული ეთიოპიის ყოფილ არისტოკრატიასთან თანაშრომლობით, აგრეთვე მეზობელი ქვეყნების სხვა რეაქციონერების დახმარებით. მათი საბოლოო მიზანი იყო მონარქიის რესტავრაცია. ამჟამად უცხოთის რეაქციული ძალები ისახავენ ეთიოპიაში შეჭრის გეგმებს".

მასობრივი დემონსტრაციები დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოსა და მის მიერ შეთქმულთა ჯგუფის ლიკვიდაციისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა მხარდასაჭერად ამჟამად გრძელდება ეთიოპიის ბევრ რაიონში. ათიათასობით მუშამ, გლეხმა, მოსამსახურემ და მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა არუსის, ჯოლოსა და გოჯამის პროვინციების მანიფესტაციებში. მათ განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ჯეროვანი პასუხი გასცენ შინაური და გარეშე რეაქციის ხრიკებს, დაიცვან ძირეული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების კურსი.

საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის ხაკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტთა მიერ შესრულებულ სამუშაოს ფართოდ იყენებენ მეტალურგიულ და სამთამადნო მრეწველობაში.

დამთავრებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დანერგვის ეფექტიანობის ამაღლებისათვის ზრუნვასთან ერთად ინსტიტუტში უკანასკნელ ხანს დიდი ყურადღება ეთმობა ლაბორატორიების, განყოფილებების, მოწყობილობისა და სამუშაო მოედნების რაციონალურ გამოყენებას, აგრეთვე მათ ესთეტიკურ გაფორმებას, რაც ზრდის მეცნიერთა შრომის ნაყოფიერებას. კრმკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადებმა, რომლებსაც მეთაურობენ დ. რინენბერგი, ნ. იაკობიძე, ა. გლაკკოვსკი, გ. ალვარიძე, შეადგინეს ესკიზები, შეარჩიეს მასალები და შეასრულეს მოზაიკური სამუშაოები სამრეწველო თემაზე.

სურათზე: სექტორის ხელმძღვანელი ნ. იაკობიძე, ბიოლოგი მ. მაცაბერიძე და უფროსი ინჟინერი დ. რინენბერგი ამუშავებენ მორიგ გასაფორმებელ პროექტს.

ვ. სეკოლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ინდულგენცია დამსჯელებს

მაპუტუ. (საკდესი). სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის თანახმად „სახელმწიფო და მისი მოსამსახურეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან ნებისმიერი მოქმედებისათვის, რომელიც კანონიერებისა და წესრიგის დაცვის მიზნით სრულდება".

ახალმა „კანონმა" პრეტორიის მმართველებს საბოლოოდ გაუსნა ხელ-ფეხი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აფრიკელი უმრავლესობის წინააღმდეგ რეპრესიებისა და ტერორის შემდგომი გაძლიერებისათვის. მისი მიღება ნიშნავს, რომ დაგისებური ინდულგენცია მიეცეს საიდუმლო პოლიციის აგენტებს, მედილეგეებსა და სხვა რასისტ დამსჯელებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ „კანონს" უკუძალა აქვს. „ცოდვების მონანიება" იმათზეც ვრცელდება, ვინც შარშან 16 ივნისს სისხლით მორწყა სოუეტოს ქუჩები, ვრცელდება ყველაზე, ვინც აპარტეიდის წინააღმდეგ აფრიკელთა მშვიდობიან დემონსტრაციებს ხვრეტდა.

ფოტოინფორმაცია

მსოფლიოში ყველაზე დიდი — 34-ადგილიანი ველოსიპედი და ყველაზე პატარა მოტოციკლი დაამზადა დანიელმა აგნერ ვესტერჰარდმა (სურათზე მარცხნივ). მისი პირდაპირი დანიშნულებით გამოყენება არც თუ ისე იოლია, სამაგიეროდ რეკლამისათვის საუცხოო რამ არის.



აშშ. უძველესი, ნაპოლეონის ნაქონი ხმალი (სურათზე) გაიყიდა შეეიცარიაში გამართულ აუქციონზე. მისი ახალი მფლობელია ვინმე უინსბოროელი (ტეხასის შტატი) მილიონერი, რომელმაც არ გაამხილა უნიკალურ ნივთში გადახდილი თანხა. მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, ხმალი სამჯერ უფრო ძვირი ღირდა, ვიდრე ბონაპარტის შლაპა, რომელიც ადრე ერთ-ერთმა სიძველეთა მოყვარულმა 32.000 დოლარად შეიძინა.

აპ-საკდესის ფოტო.

ბოლო ამბავი

ვის პრ აძლევს ხელს სიმართლე?

ვაშინგტონი, (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ 60-იანი წლების დასლევს ინტენსიური პროპაგანდისტული კამპანია გააჩაღა, რათა დაერწმუნებინა ამერიკისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობა, რომ უტაუარია ოფიციალური ვერსია, თითქოს პრეზიდენტ ჯ. კენედის მოკვლა „მარტო ოსვალდის" ნახელავი იყოს, და სახელი გაეტეხა ამ ვერსიის კრიტიკოსებისათვის.

ამას მოწმობს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს 1967 წლის გახმაურებული ინსტრუქცია ყველა თავის აგენტისადმი, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთაც. მათ დაეკვალთ ფართოდ გავრცელებიხათ ამ უწყების ლენგლის ტაბ-ბინაში მომზადებული მასალები, რომლებიც „ადასტურებენ" ეურეხია კომისიის დასკვნების სისწორეს და „უარყოფენ" მტკიცებულებებს, რომლებიც ვერ თავსდება ოფიციალურ ვერსიაში.

„ჯაშუს პროპაგანდისტთა" აზრით, ეურეხის კომისიის მოხსენების ქექმარიტებაში „ეჭვის შეტანა" ზიანს აყენებდა" შეერთებულ შტატებს.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ძალ-ღონეს არ ზოგავდა, ოღონდ ჩირქი მოეცხო და ცილი დაეწამებინა იმ ამერიკელებისათვის, ვინც ცდილობდა სიმართლე დაედგინა დალასში ჩადენილი დანაშაულის გამოძიებაში, ემხილებინა ძალები, რომლებმაც ყოფილი პრეზიდენტის მკვლელობა მოაწყვეს. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტებს, კერძოდ, დავალებული ჰქონდათ ჩირქი მოეცხოთ ამ თითქოსდა „უპატიოსნო" ადამიანებისათვის, რომლებსაც „გარკვეული პოლიტიკური თუ ფინანსური მიზნები ამოძრავებდათ".

მაგრამ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყველა ცდა ამაო გამოდგა. ამერიკელთა დიდი უმრავლესობა — გელაპის ინსტიტუტის უკანასკნელი გამოკითხვის თანახმად, 80 პროცენტი — დარწმუნებულია, რომ ჯ. კენედი მეთქმეულებამ იმსხვერპლა. საზოგადოებრიობის ზეგანლეთით წარმომადგენელთა პალატა იძულებული გახდა შარშან შემოდგომაზე შეექმნა ჯ. კენედის, მარტინ ლუთერ კინგისა და რ. კენედის მკვლელობის გარემოებათა გამომძიებელი სპეციალური კომისია.

ინდოეთ-ჩინეთ

ინ-ინ-ინ

ფეხბურთი „ოლიმპია", ჩვენი სტუმარი...

დღეს „ლოკომოტივი" ეხალისიანე

მთავარ ინდოს კალთებზე ბინადარი ჯერ კიდევ საბოლოოდ [illegible] ბერძენ ფილოსოფოსებმა გამდნარა, თბილისში [illegible] ბერძენ ფეხბურთის მატჩი იმართება, თანაც საერთაშორისო...

დღეს და 12 თებერვალს „ლოკომოტივის" სტადიონზე იუგოსლავიის ქალაქ ლიუბლიანას „ოლიმპიას" ფეხბურთელები ამხანაგურ მატჩებში შეხვდებიან თბილისის „დინამოს", ხოლო 14 თებერვალს თბილისშივე — ბუთაისის „ტორპედოს".

იუგოსლავიელი ფეხბურთელები ჩვენს ქალაქში უკვე რამდენიმე დღე იმყოფებიან, ეცნობიან მის ღირსშესანიშნავ ადგილებს. გუშინ ნაშუადღევს „ოლიმპიას" გუხდმა დაათვალიერა თბილისის „დინამოს" განახლებული სტადიონი, რომლის „ოსტატთა კლუბში" გაიმართა პრეს-კონფერენცია.

სტუმრებს გულთბილად მიესალმა თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე **გივი ყირიელაშვილი**, რომელმაც აღნიშნა, რომ ორ ძმადნაფიც ქალაქს — ლიუბლიანასა და თბილისს შორის დღითიდღე მტკიცდება მეგობრობა, სულ უფრო ხშირად ეწყობა ამხანაგური შეხვედრები სპორტში—ყალთბურთში, ხელბურთში, ტანვარჯიშში და აი, ფეხბურთიც...

სლოვენიის დედაქალაქი ლიუბლიანა, — ამბობს ლიუბლიანას ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარე **იანკო პოპოვიჩი**, — ახლა 300 ათას მცხოვრებს ითვლის, რომელთაგან ყოველი მეათე სპორტს მისდევს — სულ 49 სახეობა გვაქვს კულტივირებული. ლიუბლიანაში აღიზარდა მსოფლიოს და ევროპის რამდენიმე ჩემპიონი, შეიძლება ყველამ არ იცოდეს, რომ ოლიმპიური ჩემპიონი, ტანმოვარჯიშე მიროსლავ ცერარიც ლიუბლიანელია. ჩვენ გვაქვს კარგი სპორტის სასახლე 12 ათასი მაყურებლისათვის, ხოლო „ოლიმპიას" სტადიონი 25 ათასამდე კაცს იტევს.

სიტყვა ეძლევა „ოლიმპიას" სპორტული კლუბის თავმჯდომარეს **ეგონ კონრადს:**

— ჩვენს კლუბს, რომელსაც [illegible] ... [illegible] ... [illegible] — [illegible] ... [illegible] — [illegible] ... [illegible] —